საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუდუჩავა მამია იოსების ძე

დუდუჩავა მამია იოსების ძე (14. VIII. 1911, სოფ. ქვემო ხეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 8. V. 1980, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1965). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1931). 1944–47 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დირექტორი, 1948–52 – თბილ. სამხატვრო აკად. რექტორი, 1952-იდან – შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1954-იდან – ლიტ. თეორიის განყ-ბის ხელმძღვანელი. წერდა კრიტ. წერილებს, მონოგრაფიებსა და ნარკვევებს ახ. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის, ესთეტიკის, ქართული ესთეტ. აზროვნების ისტორიის საკითხებზე. ნაშრომები: „ქართული საბჭოთა ფერწერა“ (1939), „გიგო გაბაშვილი“ (1946), „წერილები ხელოვნებაზე“ (1948), „ახალი ქართული ხელოვნება“ (1950), „ხელოვნების პრობლემები“ (1959), „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა“ (1960), „ხელოვნების მარადიულობის პრობლემა“ (1962), „შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნააზრევი“ (1966) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ხელოვნების თავისებურების პრობლემები, წგ. 1, თბ., 1970; სახვითი ხელოვნება. ლიტერატურა. ესთეტიკა, წგ. 1–2, თბ., 1973–74; К вопросу о сущности художественного стиля, Тб., 1969; Вопросы эстетики, Тб., 1977.